დეკანოზი
ჩად ჰეტფილდი

# პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი და სეკულარიზმი: წინასწარმეტყველური ხმა

*ინგლისურიდან თარგმნა*
***გიორგი ხუროშვილმა***

**Archpriest**
**Chad Hatfield**

# PROTOPRESBYTER ALEXANDER SCHMEMANN AND SECULARISM: A PROPHETIC VOICE

*Translated by* ***Giorgi Khuroshvili***

თბილისი 2019 Tbilisi

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი

NEW GEORGIAN UNIVERSITY
Archive of Caucasian Philosophy and Theology

**სამეცნიერო რედაქტორები**: ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი **გრიგოლი (ბერბიჭაშვილი),** პროფესორი, დოქტორი
პროფესორი, დოქტორი **თენგიზ ირემაძე**

**Editors:** Prof. Dr. Metropolitan of Poti and Knobi **Grigoli (Berbichashvili)**
Prof. Dr. **Tengiz Iremadze**

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**
Cover design and Book layout: **Giorgi Bagrationi**

პირველი გამოცემა, 2019
First Edition, 2019

© კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი, 2019
© Archive of Caucasian Philosophy and Theology, 2019

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“, 2019

ISBN 978-9941-8-1253-8

# სარჩევი

წინათქმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი და
სეკულარიზმი: წინასწარმეტყველური ხმა . . . . . . . . . 7

სახელთა საძიებელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 35

ავტორის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 36

## წინათქმა

დიდად მოხარული ვარ იმ ფაქტის გამო, რომ ჩვენ ვიწყებთ ახალი საქართველოს უნივერსიტეტსა და ნიუ-იორკის წმ. ვლადიმირის სემინარიას შორის ოფიციალურ თანამშრომლობას. დაე, ღმერთმა დალოცოს ეს წამოწყება! მე იმ სასულიერო სასწავლებლის პრეზიდენტი ვარ, რომელსაც თავისი კვალი დაატყო მრავალმა გამოჩენილმა ღვთისმსახურმა და ღვთისმეტყველმა, მათი მემკვიდრეობა დღემდე ახდენს ზეგავლენას მართლმადიდებლობაზე როგორც ინგლისურენოვან სამყაროში, ასევე მის მიღმაც. ამ ბრწყინვალე ადამიანებს შორისაა პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი – სეკულარიზმის შესახებ მისი მოსაზრებები, წინასწარმეტყველური ხმა და ნაწერები მრავალი ადამიანის გონებას კვლავაც იპყრობს.

დღესდღეობით, ბევრი იხსენებს და ეყრდნობა მამა ალექსანდრე შმემანს და მის შემოქმედებას, მაგრამ, მეუფლება განცდა, რომ მას ვერ გაუგეს; მათ მხოლოდ თავიანთი წარმოდგენები შექმნეს მამა ალექსანდრეს

შესახებ; ამავდროულად, ვფიქრობ, არიან ისეთნიც, ვინც თავს ესხმის მამა ალექსანდრეს და ცდილობს, რომ იგი აქციოს იმად, რაც ის არც არასოდეს ყოფილა. 2019 წელს, ღმრთივ მიცვალებიდან 36 წლის შემდეგ, ერთობ რთულია, ერთბაშად „გარდაქმნა“ მამა ალექსანდრე შმემანი, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ხალხი ამას გარკვეული მიზანდასახულობით აკეთებს. ამის საფუძველზე, ვფიქრობ შემდეგს: „იცით, რა?! ჩვენ თავად მამა ალექსანდრე შმემანს უნდა მოვუსმინოთ, რამდენადაც, მრავალი თვალსაზრისით, დღეს იგი ისეთივე თანამედროვეა, როგორც სიცოცხლეში, თავისი ნაშრომების შექმნისას იყო.“

ბევრი რამის თქმა მსურს, მაგრამ, უფრო მეტად ის მწადია, რომ თავდაპირველად თავად მამა ალექსანდრეს მოვუსმინოთ, ხოლო შემდეგ კი მისი წინასწარმეტყველების შედეგები ვაჩვენოთ.

***დეკანოზი ჩად ჰეტფილდი***

*ნიუ-იორკის წმიდა ვლადიმირის*

*მართლმადიდებლური თეოლოგიური*

*სემინარიის პრეზიდენტი*

**აპრილი, 2019 წელი**